Shape the future with confidence

EY საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

აპრილი - ივნისი 2025

ცვლილებები „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონში

- 2025 წლის 30 ივნისს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები გამოქვეყნდა.
- ცვლილებებით განისაზღვრა, რომ დარღვევად არ ჩაითვლება დამსაქმებლის მიერ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის შესწორება/დაზუსტება, თუ საპენსიო შენატანის თანხა სწორად იქნება გადახდილი. ჯარიმა დაწესდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი დადგენილ ვადაში არ გადარიცხავს საპენსიო შენატანს დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 30/06/2025.

საკანონმდებლო პაკეტი საპენსიო შენატანებთან დაკავშირებით

- 2025 წლის 7 და 8 მაისს საპენსიო ფონდმა საპენსიო შენატანებთან დაკავშირებით საკანონმდებლო პაკეტი მიიღო, რომლითაც განისაზღვრა დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილის/პენსიის მიმღების მიერ საინვესტიციო პორტფელის არჩევისა და დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის ახალი წესები და პროცედურები.
- მონაწილეს/პენსიის მიმღებს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი საინვესტიციო პორტფელი და მათი კომბინაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგინდა საპენსიო აქტივების ინვესტირების კონკრეტული ფორმა:
  - 2028 წლის 1 იანვრამდე ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება კონსერვატიულ (ნაკლებრისკიან) საინვესტიციო პორტფელში.
  - 2028 წლის 1 იანვრიდან 40 წლამდე მონაწილის საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება დინამიკურ (მაღალრისკიან) საინვესტიციო პორტფელში; 40-50 წლამდე - დაბალანსებულ (საშუალორისკიან) საინვესტიციო პორტფელში, ხოლო 50 წლიდან - კონსერვატიულ (ნაკლებრისკიან) საინვესტიციო პორტფელში.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 07-08/05/2025.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

ცვლილებები „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონში

- 2025 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონში ცვლილებები მიიღო.
- ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან შრომითი იმიგრანტებისა და თვითდასაქმებული უცხოელებისთვის აუცილებელი გახდება შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვება საქართველოში საქმიანობის განსახორციელებლად.
- შრომითი საქმიანობის უფლებას გასცემს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
- შრომითი საქმიანობის უფლების ვადები დამატებით უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
- შრომითი უფლების გარეშე ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას შრომითი იმიგრანტი და ადგილობრივი დამსაქმებელი დაჯარიმდებიან 2,000 ლარით ინდივიდუალურად.
- ცვლილებები ამოქმედდება 2026 წლის 1 მარტიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 26/06/2025.

ცვლილებები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში

- 2025 წლის 13 ივნისს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები გამოქვეყნდა.
- ცვლილებები ითვალისწინებს ახალი ტიპის დროებითი ბინადრობის ნებართვის შემოღებას, რომელიც მორგებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროში მომუშავე პირებსა და მათ ოჯახის წევრებზე.
- ბინადრობის ნებართვის მისაღებად აუცილებელია, რომ განმცხადებლის მიერ IT სფეროში საქმიანობის შედეგად მიღებული ანაზღაურება წლიურად აღემატებოდეს 25,000 აშშ დოლარს.
- ბინადრობის ნებართვა გაიცემა 3 წლის ვადით. თუმცა, აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველ ჯერზე 3 წლით, საერთო ჯამში არაუმეტეს 12 წლისა.
- ცვლილებები ამოქმედდება 2025 წლის 1 სექტემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 13/06/2025.

ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში

- 2025 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიტანა.
- სხვა ცვლილებებთან ერთად, აიკრძალა სასამართლოს შენობაში, სასამართლო სხდომის დარბაზსა და სასამართლოს ეზოში ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება, ტრანსლაცია და აუდიოჩაწერა. ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება, ტრანსლაცია და აუდიოჩაწერა დასაშვებია მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით კონკრეტულ სასამართლო სხდომასთან დაკავშირებით.
- სხვა ცვლილებებთან ერთად, დასჯადი გახდა მოსამართლისადმი უპატივცემულობის გამოხატვა ნებისმიერი პირის მიერ, ნებისმიერი ფორმით, ნებისმიერ ვითარებაში მოსამართლის სტატუსთან დაკავშირებით.
- ცვლილებები ეტაპობრივად ამოქმედდება და სრულად ძალაში შევა 2025 წლის 1 სექტემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 26/06/2025.

ცვლილებები „დიზაინის შესახებ“ კანონში

- 2025 წლის 9 ივნისს „დიზაინის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი გამოქვეყნდა.
- სხვა ცვლილებებთან ერთად, დიზაინის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს დაემატება:
  - საჯარო წესრიგთან ან მორალის აღიარებულ პრინციპებთან წინააღმდეგობა.
  - პარიზის კონვენციით დაცულ სიმბოლოებთან თანხვედრა.
  - საერთაშორისო ორგანიზაციის გერბთან, დროშასთან, ემბლემასთან ან ნიშანთან, საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გერბთან, დროშასთან ან ემბლემასთან

თანხვედრა, რომელიც არ არის დაცული პარიზის კონვენციით, მაგრამ მის მიმართ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს საჯარო ინტერესი.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 09/06/2025.

ცვლილებები „გრანტების შესახებ“ კანონში

- 2025 წლის 16 აპრილს საქართველოს პარლამენტმა „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებები მიიღო. ცვლილებები საკანონმდებლო პაკეტის ნაწილია, რომლის საფუძველზეც შეიცვალა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და სხვა დაკავშირებული აქტები.
- ახლებურად დარეგულირდა გრანტის გამოყენებისა და გაცემის წესი. თუ გრანტი გამოიყენება გრანტის ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისაგან განსხვავებულად, დონორის თანხმობასთან ერთად საჭირო გახდა საქართველოს მთავრობის ან მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობა. უცხოური გრანტის შემთხვევაში გრანტის გაცემისთვის საჭიროა საქართველოს მთავრობის ან განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა.
- ანტიკორუფციული ბიურო უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს ფინანსური ანგარიში, გამოკითხოს ან დაკითხოს ფიზიკური პირი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე.
- განისაზღვრა კონკრეტული ჯარიმები:
  - თანხმობის გარეშე გრანტის მიმღები დაჯარიმდება გრანტის ორმაგი ოდენობით.
  - ფიზიკური პირი დაჯარიმდება 2,000 ლარით, თუ ანტიკორუფციულ ბიუროს გამოკითხვისას ან დაკითხვისას ცრუ ინფორმაცია მიაწოდა. განმეორებით ქმედებისთვის, პირი დაჯარიმდება განსაზღვრული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 16/04/2025.

თამბაქოს წარმოების ლიცენზირების წესი

- 2025 წლის 15 აპრილს საქართველოს მთავრობამ თამბაქოს წარმოების ლიცენზირების წესი მიიღო.
- თამბაქოს წარმოების ლიცენზიის გამცემი ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
- წესი განსაზღვრავს ლიცენზიის მაძიებლის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზისათვის და ლაბორატორიისთვის დადგენილ მოთხოვნებს.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უფლებამოსილია ადგილზე შეამოწმოს სალიცენზიო პირობები და შემოწმების შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის თაობაზე.
- სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო.
- დადგენილება ძალაში შევიდა 2025 წლის 1 ივნისს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 16/04/2025.

უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი

- 2025 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი მიიღო. აღნიშნული აქტის მიღებას წინ უსწრებდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ამოქმედება, რომლითაც განისაზღვრა სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ვალდებულება. დღესდღეობით, ორივე სამართლებრივი აქტი ერთმანეთის პარალელურად მოქმედებს.
- აქტით განიმარტა უცხოური პრინციპალის და უცხოური პრინციპალის აგენტის ცნებები.
- პირი, რომელიც უცხოური პრინციპალის აგენტი გახდება, ვალდებულია 10 დღის ვადაში მიმართოს ანტიკორუფციულ ბიუროს უცხოური პრინციპალის აგენტად რეგისტრაციისთვის. აღნიშნულმა პირმა ანტიკორუფციულ ბიუროს რეგისტრაციის განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები/ინფორმაცია.

- უცხოური პრინციპალის აგენტი ვალდებულია აგენტობის პერიოდში შეინახოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშები და სხვა ჩანაწერები, რომელიც ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი ანტიკორუფციულ ბიუროსთვის.
- უცხოური პრინციპალის აგენტად რეგისტრირებულმა პირმა ყველა საინფორმაციო მასალაში თვალსაჩინოდ უნდა მიუთითოს რომ არის უცხოური პრინციპალის აგენტი.
- აქტის დარღვევისთვის განისაზღვრა ჯარიმები:
  - თუ პირმა რეგისტრაციის განცხადებაში ან ანტიკორუფციული ბიუროსთვის წარსადგენ სხვა დოკუმენტაციაში განზრახ შეიტანა ცრუ ინფორმაცია, იგი დაჯარიმდება არაუმეტეს 10,000 ლარით ან/და თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე.
  - თუ პირი საინფორმაციო მასალაში თვალსაჩინოდ არ მიუთითებს, რომ იგი არის უცხოური პრინციპალის აგენტი, დაჯარიმდება არაუმეტეს 5,000 ლარით ან/და თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს ექვსი თვისა.
- აქტი ძალაში შევიდა 2025 წლის 31 მაისს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 02/04/2025.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტატო ჩანტლაძე
მმართველი პარტნიორი
შპს „იუაი“
კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი
ტელ: +995 (32) 215-88-11
Tato.Chantladze@ge.ey.com

EY | Building a better working world

EY არსებობს გამართულად მომუშავე სამყაროს შესაქმნელად. ჩვენ ვეხმარებით კლიენტებს, ჩვენს თანამშრომლებს და საზოგადოებას გრძელვადიანი დოვლათის შექმნაში და ვზრდით კაპიტალის ბაზრების სანდოობას.

150-ზე მეტ ქვეყანაში EY-ის გუნდის წევრები უახლეს ტექნოლოგიებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ ინფორმაციის სანდოობას რწმუნების გაცემის გზით და ეხმარებიან კლიენტებს თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში, გარდაქმნასა და ეფექტურად წარმართვაში.

EY-ის აუდიტის, საკონსულტაციო, საგადასახადო, იურიდიული, სტრატეგიისა და გარიგებების მომსახურებების სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდები სვამენ სწორ კითხვებს, რაც მათ დღევანდელობის კომპლექსურ გამოწვევებთან დაკავშირებით სწორი პასუხების პოვნაში ეხმარება.

კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედ“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანია, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებს და იყენებს EY პერსონალურ მონაცემებს, ასევე ფიზიკური პირების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების აღწერა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ey.com/privacy. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ey.com

© 2025 შპს „იუაი“

ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს შეჯამებული სახის ინფორმაციას და ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადად სახელმძღვანელოდ. ის ვერ გასწევს დეტალური კვლევის ან პროფესიული დასკვნის მაგივრობას. ვერც EYGM ლიმიტედ და ვერც EY-ის გლობალური ორგანიზაციის რომელიმე წევრი ვერ იკისრებს წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალის გამო რომელიმე პირის რამე ქმედების ან მის მიერ ქმედებისგან თავის შეკავების შედეგად განცდილი ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობას. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასურველია კონსულტაციის მიღება შესაბამისი სპეციალისტისგან.

http://www.ey.com/georgia